ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4536344

ნომერი: AR1685051

თარიღი : 31.05.2019

გაცემის თარიღი : 10.06.2019

გაცნობის თარიღი : 10.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 61;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 31 მაისის AR1685051 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N61-ში არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის (კარის მოწყობა) საკითხს.

განმეორებით გაცნობებთ, რომ სამსახურის 2014 წლის 19 დეკემბრის №1652469 ბრძანებით შეთანხმდაქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ. N61–ში, შპს "მეიდან ჯგუფი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სავაჭრო-გასართობი ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 დეკემბრიდან 2015 წლის 9 თებერვლის ჩათვლით; აღნიშნული პროექტი მოიცავს ფასადის შეცვლასაც.

საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა, წარმოდგენილი იქნეს ექსპლუატაციაში მიღების შესახებ აქტი და იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ისევ მშენებარეა, ან სამუშაოები ჯერ არ განხორციელებულა, განცხადება და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთული იქნეს კორექტირებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხსი განხილვას დუბრუნდება მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.